სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება № 145 (ფმ-1/511)

“ 03 “ სექტემბერი 2014წელი

ქ. თბილისი

მხარეები:

ერთის მხრივ, **წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა** შემდგომში წოდებული როგორც „**შემსყიდველი**“, წარმოდგენილი გამგებლის - *გოგა გულორდავას* სახით, და მეორეს მხრივ, **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“**, წარმოდგენილი მისი უფროსის - ***ვლადიმერ ლაზარიშვილის*** სახით, შემდგომში წოდებული როგორც **„მიმწოდებელი“**, ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების - “გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის და გამარტივებული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის “ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და ობიექტი

1.1 ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან, წინამდებარე ხელშეკრულების 1.2. პუნქტში მითითებული მომსახურების შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად CPV კოდი: 71300000, (მეტეოროლოგიური მომსახურება - 71351610).

1.2 შესყიდვის ობიექტია მიმწოდებლის მიერ ქ. ზუგდიდის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით, 2014 წლის 01 მარტიდან 30 აპრილის ჩათვლით დაფიქსირებული ჰაერის ტემპერატურის მინიმალური მაჩვენებლის შესახებ ინფორმაციის მომზადება და შედეგების შემსყიდველისათვის გადაცემა (შემდგომში მომსახურება).

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1 შესყიდვის ობიექტის ღირებულება შეადგენს 109.80 (ას ცხრა ლ. და ოთხმოცი თ.) ლარს დღგ-ს ჩათვლით, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 აგვისტოს №502 დადგენილების - “საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების სახეებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ” დანართი №3-ს შესაბამისად.

2.2. დანართი №3 წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების და მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ 150.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება დასტურდება მიღება–ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები (მიმწოდებლის მხრიდან ჰიდრომეტეოროლოგიის დეპარტამენტის უფროსი რ. ჭითანავა და შემსყიდველის მხრიდან წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელი გ. გულორდავა).

4.3 მიმწოდებლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებისა და მასში შემავალი დოკუმენტების პირობების შესრულებაზე კონტროლს განახორციელებს გამგებლის მოადგილე სევერიანე შეროზია.

5. ანგარიშსწორების ფორმა

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

5.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშფაქტურის მიწოდებიდან 10 (ათი) სამუშაო დღეში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
– შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
– მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
6.1.2 შემსყიდველი ვალდებულია:
– დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
6.2.1 მიმწოდებელს უფლება აქვს:
– მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების 5.2. პუნქტის შესაბამისად.
6.2.2 მიმწოდებელი ვალდებულია:
– მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულების საგნით განსაზღვრული მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერიდან 3 (სამი) სამუშაო დღის განმავლობაში.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

7.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
7.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა – ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.
7.3 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა.

8.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ვალდებულებების სრულ შესრულებემდე.
8.2 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხეშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3 ფასების ცვლილებების შესახებ ხელშეკრულების მხარემ უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს წერილობით, რომელიც თავის მხრივ უფლებამოსილია არ დაეთანხმოს აღნიშნულ ცვლილებებს.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა: ომი, ნებისმიერი ხასიათის საბრძოლო ან სამხედრო მოქმედებები, დივერსიები, სტიქიური მოვლენები, გაფიცვები, ხანძარი და სხვა გარემოებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
9.2 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 მხარეები ეცდებიან წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებისას წამოჭრილი ნებისმიერი დავა გადაჭრან მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით.

10.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სხვა პირობები

11.1 წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 წინამდებარე ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება ან დამატება საჭიროებს წერილობით ფორმას და ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

11.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ფორმდება ხელშეკრულების დანართის სახით და განიხილება მის განუყოფელ ნაწილად.

11.4 წინამდებარე ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება დამრღვევი მხარისადმი წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის შემდეგ.

11.5 ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

11.6 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორ) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ინტერესთა კონფლიქტი:

12.1. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულებაზე ხელმომწერი პირი და უფლებამოსილი პირი, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერებით ადასტურებენ, რომ მათი მონაწილეობა აღნიშნულ შესყიდვაში არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები.

შემსყიდველი წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობა	მიმწოდებელი სსიპ "გარემოს ეროვნული სააგენტო"
ს/კ 242739248 მისამართი: ქ. წალენჯიხა სალიას ქ. №5 საბანკო რეკვიზიტები ს/ს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის № GE22LB0120179460264	ს/კ 204559691 მისამართი: 0112 ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ 150 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს "პროკრედიტ ბანკის" ბანკის კოდი: MIBGGE22 ანგარიშის № GE32PC0133400100000051
გოგა გულორდავა მუნიციპალიტეტის გამგეები	ვლადიმერ ლაზარიშვილი სააგენტოს უფროსი